№1756 2015 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს, 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში განახორციელოს 2015 წლის 11 სექტემბერს ქალაქ რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომზე გასამართი საცეკვაო ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის „GlobalGathering“-ის ორგანიზებისათვის შპს „ბრავო რექორდსის“ მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**